# კროსვორდი



## შვეულად

**1.** სახელმწიფოს, საწარმოს, ორგანიზაციისა და მისთ. შემოსავლებისა და გასავლის აღრიცხვა დროის გარკვეულ მონაკვეთში. **2.** ისტორიული მასალებისა და საბუთების ერთობლიობა. **3.** ვისიმეს ან რისამე დაცვა, გამართლება, შექება. **5.** კავშირი, გაერთიანება. **6.** სხვა ქვეყნის მიერ დაპყრობილი ტერიტორია, ქვეყანა ან მხარე. **7.** მცენარეთა სამყარო. **8.** რაიმეს გაკეთების, განხორციელების, მოხდენის შესაძლებლობა. **9.** მტრული ქვეყნების მიერ რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკური ან ეკონომიკური იზოლაცია მასზე პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით. **11.** პირი, რომელიც სხვის ნათქვამს ერთი ენიდან მეორეზე ზეპირად თარგმნის. **14.** სახალხო მოძრაობა, რომლის მიზანია ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება. **17.** სოციალური სქესი, განსხვავება კაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით. **19.** მცირე ზომის ნაწარმოები, რომელსაც საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს. **20.** ფაქტებისა და მოვლენების სწორხაზოვანი გადმოცემა, ანუ ისე, როგორც ავტორს აქვს გადმოცემული. **21.** დროის ძალიან მცირე კონკრეტული მონაკვეთი, როცა რაღაც ხდება. **23.** კაპიტალიზმამდე არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომლის დროსაც წარმოების საშუალებები ეკუთვნის მსხვილ მემამულეს. **25.** საგანგებო დავალებით გასაგზავნი პირი, მაცნე. **26.** პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სწავლების თეორიას. **27.** საქმის კარგი შედეგით დასრულება, წინსვლა. **28.** რაიმეს შესასრულებლად საჭირო მითითება. **30.** გამოგონილი გვარი ან სახელი, რომელსაც პიროვნება ირჩევს საკუთარი გვარისა და სახელის ნაცვლად. **34.** გარკვეული საქმისთვის, გაჭირვებულებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა, უანგაროდ რაიმეს გაღება. **36.** ფერთა შეხამება, რაც ქმნის სურათის, ორნამენტის, მოზაიკის და მისთ. გარკვეულ მთლიანობას, იერს. **38.** კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ხალხის აზრის გასაგებად. **40.** რაიმე ფაქტის ან მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულების, უკმაყოფილების აქტიური გამოხატვა. **41.** რისამე შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართება; აგებულება, წყობა. **42.** საქონლის ფარულად, კანონმდებლობის დარღვევით გადატანა სახელმწიფო საზღვარზე. **43.** ბეჭდური ტექსტის აკრეფის ხელოვნება. **48.** მაჰმადიანთა რელიგია. **50.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში, რომელმაც გენუის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას მიმართვა გაუგზავნა. **53.** დაბა სამცხე-ჯავახეთში. **54.** ქალაქი საფრანგეთში, სადაც იმართება ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალი მსოფლიოში. **55.** ვინმეს დაშინება ფიზიკური ძალადობის გამოყენებით ან მუქარით. **56.** ერთი ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი. **57.** სპეციალისტი, რომელიც ლიტერატურულ-პუბლიცისტურ საქმიანობას ეწევა პრესაში, რადიოში ან ტელევიზიაში. **59.** ზოგიერთ ქვეყანაში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულება. **64.** მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირი. **66.** ხმელეთში შეჭრილი ზღვის ნაწილი. **69.** მოთმი-